შპს „სამშენებლო კომპანია“ სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2019წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, კონსოლიდირებული

1. ზოგადი ინფორმაცია

„სამშენებლო კომპანია“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო 01/08/2011წ ს/ნ 404905965. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზ., IV კვ., კორპ. №23, სადარბაზო 3, სართული 1, ბინა № 26, კომპანიის დამფუძნებელია: სოლომონ აფრასიძე-100%, კომპანიის ძირითადი საქმიანობაა: მშენებლობა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან/საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მომსახურება/საქონელი მიეწოდება და საქონელზე საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მის აღებიდან ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმპერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა. კომპანიას სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები არ გააჩნია.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადი და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში კაპიტალში აღიარდება. მიმდინარე პერიოდში გადასახდელი მოგების გადასახადი ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას. გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქედან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, საგადასახადო მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები: მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა 20-პროცენტი ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი 20-პროცენტი სატრანსპორტო საშუალება 20 პროცენტი, შენობა-ნაგებობები 5 პროცენტი. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც, ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება საგადასახადო მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის aსასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმშემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქვტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმშემთხვევაში, თუ წინა წლებში არმოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში საგადასახადო მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო - მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმშემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არა რის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულვალ დებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. კომპანიას ბანკის ოვერდრაფტი და სესხები არ გააჩნია.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

ბანკის სესხებისა და ბანკის ოვერდრაფტების ხელშეკრულებების პირობების მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტის გადასახდელი ნაშთების ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე.

შპს სამშენებლო ჯგუფი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრისათვის, კონსოლიდირებული

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2019	31/12/2018
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	217796	1986637
სავაჭრო მოთხოვნები	1686605	506000

გადახდილი ავანსები	172091	168925
მარაგები	74253	429230
მზა პროდუქცია	0	0
სხვა	74253	429230
საინვესტიციო ქონება	0	0
სხვა მიმდინარე აქტივები	10400000	10400000
ბიოლოგიური აქტივები	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0
გადაფასების მოდელით	0	0
გუდვილი	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0
ძირითადი საშუალებები	8940	23609
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	67338
სულ აქტივები	12559685	13581739
ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	1283	581147
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	200
საგადასახადო ვალდებულებები	134901	310632
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	0	0
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	0	0
მიღებული გრანტები	0	0
სხვა ვალდებულებები	0	1918100
სულ ვალდებულებები	136184	2810079
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	50	50
საემისიო შემოსავალი	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	12423451	10771610
გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა რეზერვები	0	0
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი	12423501	10771660
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	12423501	10771660
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	12559685	13581739

საწარმოს დირექტორი

სოლომონ აფრასიძე

შპს სამშენებლო ჯგუფი
2019 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის
სრული შემოსავლის ანგარიშგება, კონსოლიდირებული

საქმიანობის შედეგები	2019	2018
ნეტო ამონაგები	3716909	7573097
საქონლის გაყიდვიდან	438794	0
მომსახურების გაწევიდან	3278115	7573097
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-1519402	-898661
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	2197507	6674436
სხვა შემოსავალი	0	1190854
დასაქმებულთა ანაზღაურება	-114425	-350931
ცვეთა და ამორტიზაცია	0	0
საპროცენტო შემოსავალი:	0	0
საპროცენტო ხარჯი :	0	-25299
იჯარის ხარჯი	-4759	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-359145	-318044
სულ საოპერაციო ხარჯები	-478329	496580
საოპერაციო მოგება	1719178	7171016
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები	0	0
მარაგები	0	-1571635
სხვა არაფინანსური აქტივები	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	1460000	9857961
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	0	0
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	3179178	15457342
მოგების გადასახადი	0	0
მოგება/(ზარალი)	3179178	15457342
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	3179178	15457342

მოგება/(ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მფლობელთათვის	3179178	15457342
არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის	0	0
მოგება/(ზარალი)	3179178	15457342
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მფლობელთათვის	3179178	15457342
არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	3179178	15457342
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	10771660	5206934
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა' , კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-1527337	-9892616
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	12423501	10771660

საწარმოს დირექტორი
სოლომონ აფრასიძე

შპს სამშენებლო ჯგუფი
2019 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფულადი ნაკადების ანგარიშგება, კონსოლიდირებული

ფულადი სახსრების მოძრაობა	**2019**	**2018**
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	5675464	3951054
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	0	1257303
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-7444305	-6056301
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-1768841	-847944
სავალუტო კურსის ეფექტი	0	0
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1986637	2834581
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	217796	1986637

საწარმოს დირექტორი
სოლომონ აფრასიძე